პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 203 (5233)
13 ოქტომბერი, კვირა. 1974 წ.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ჩემპიონი თბილისელია

ტაშკენტი. 11 ოქტომბერი. წყვილთა თანრიგში [illegible] ჩემპიონთა ოქროს მედლები [illegible] ჩოგბურთელებმა [illegible] კოვამ და ს. ლიხაჩოვამ მოიხვეჭეს. ფინალურ მატჩში მათ კიეველ გ. ბაკშეევასა და როსტოველ ე. ბობოედოვს სძლიეს — 3:6, 6:2, 6:0.

ბრინჯაო დონეცკელ მ. კროშინას და მოსკოველ ვ. კოროტკოვს ხვდათ.

ახლა მედლების მხოლოდ ორი კომპლექტი დარჩა გასანაწილებელი: ერთეულთა თანრიგებში. ქალთა ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან კროშინა და მოსკოველი ე. გრანატუროვა, ვაჟთა გადამწყვეტ მატჩში — თბილისელები ა. მეტრეველი და თ. კაკულია.

უფროსთა ჩემპიონატს მშვენივრად შეეხამა ნორჩი ჩოგბურთელების ტურნირები. მაგალითად, დიდი ინტერესი გამოიწვია ორი ცნობილი მწვრთნელის — კიეველი ვ. ბალვას და ალმაათელი ა. ველცის მოწაფე გოგონების, 14 წლის ნ. ბონდარენკოს და მისი თანატოლის ლ. გუშულის ფინალურმა ორთაბრძოლამ. გაიმარჯვა ველცის „წარმომადგენელმა“ გუშულმა — 6:3, 7:5.

ბიჭებში ჩემპიონის წოდება თბილისელმა ა. ჯაფარიძემ მოიხვეჭა.



## საქართველოს თასის მფლობელი

გუშინწინ თბილისის ფალავანთა კლუბში დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, გორის, სხვა ქალაქებისა და რაიონების ათლეტები. I ადგილი და გარდამავალი თასი როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისელმა მოჭიდავეებმა დაისაკუთრეს. II ადგილზე გავიდნენ აფხაზეთის, III — ქუთაისის წარმომადგენლები.

• • •

სურათზე: საქართველოს თასის მფლობელი — თბილისის გუნდი. მარცხნიდან დგანან — ტ. როსტომაშვილი, ო. ყაჭაშვილი, რ. მარსაგიშვილი, ა. ავსაჯანიშვილი, ზ. ჯაფარიძე, ტ. მარსაგიშვილი, მ. ცნობილაძე, ა. თავხელიძე; პირველ რიგში — დ. ბიჭაშვილი, ი. ჩხარტიშვილი, ა. კაპანაძე, ზ. გულიშვილი, რ. მწითური, მ. ბესტავაშვილი.

ა. გურასაშვილის ფოტო.

## ოლიმპიური იდეების შესაბამისად

„თუ 1980 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობას მოსკოვს დაავალებენ, ეს დიდი ასპარეზობა ჩატარდება მშვიდობისა და მეგობრობის, ყველა ქვეყნის ახალგაზრდობის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების ლოზუნგით, გადაიქცევა ლამაზ, ნათელ სპორტულ დღესასწაულად“, — ეს სიტყვები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრს კ. ანდრიანოვს ეკუთვნის. იგი მონაწილეობას მიიღებს სოკ-ის მომავალი სესიის (ვენა) მუშაობაში, რომელმაც უნდა დაასახელოს 1980 წლის ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქები. ავსტრიის დედაქალაქში გამგზავრების წინ კ. ანდრიანოვი საკდესის კორესპონდენტს ი. ხრომოვს ესაუბრა.

— საბჭოთა კავშირში, ისევე როგორც სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებში, ცხოვრებაში თანმიმდევრულად ხორციელდება ოლიმპიური იდეალები, — განაგრძო კ. ანდრიანოვმა. — სპორტი და ფიზიკური კულტურა ჩვენში ჭეშმარიტად საყოველთაოსახალხო საქმედ იქცა. სტადიონებისა და სპორტული დარბაზების კარები ყველა მსურველისთვის ღიაა. 48 მილიონი საბჭოთა მოქალაქე სისტემატურად მეცადინეობს სპორტში. საბჭოთა ქვეყანაში ტარდება მსოფლიოში ყველაზე მასობრივი შეჯიბრებები — სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადები. ეს მასშტაბები აოცებს სტუმრებს, განსაკუთრებით, დასავლეთიდან ჩამოსულებს, სადაც სპორტში ვარჯიში საკმაოდ ძვირი ჯდება და ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის.

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტი სოკ-მა 1951 წელს აღიარა. თუმცა საბჭოთა სპორტული მოძრაობის პრინციპები სავსებით შეესაბამებოდა ოლიმპიურ ქარტიას, სოკ-ის ყველა წევრმა მაინც არ დაუჭირა მხარი საბჭოთა კავშირს. ამაში გამოჩნდა სოკ-ის ზოგიერთი წევრის ცრუ პოლიტიკური მრწამსი.

მას შემდეგ საბჭოთა ქვეყანამ ბევრი რამ გააკეთა ოლიმპიური მოძრაობის გაფართოებისა და დემოკრატიზაციისთვის, განვითარებადი ქვეყნების სპორტსმენებისთვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად. საბჭოთა სპორტული ორგანიზაციები მუდამ ოლიმპიური მოძრაობის პრინციპების დაცვის მომხრენი იყვნენ, მუდამ ილაშქრებდნენ პოლიტიკური და რასობრივი დისკრიმინაციის ცდების წინააღმდეგ. ამის შედეგიც იყო, რომ სოკ-მა აღიარა გდრ-ისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტების კანონიერი უფლებები, რომ ოლიმპიური მოძრაობიდან გარიცხნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტები, რომ ბოლო ორ ოლიმპიურ თამაშებში არ დაუშვეს როდეზიის რასისტული რეჟიმის გუნდი.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ქალთა ოლიმპიური პროგრამა, რასაც ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა მცდელობამ სოკ-ში და საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში. ეჭვი არ არის, რომ ქალთა შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში დაამშვენებს ოლიმპიურ თამაშებს. იგივე შეიძლება ითქვას ყინულზე ცეკვის ოლიმპიური სტატუსის აღიარების შესახებაც.

— რაც შეეხება მოსკოვის კანდიდატურის წამოყენებას 1980 წლის ოლიმპიადის მასპინძლად, რაც ამჯერად დროულად გაკეთდა, — ხაზგასმით აღნიშნა კ. ანდრიანოვმა, — შემიძლია ვთქვა, რომ საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქის შესაძლებლობები ბოლო წლებში დეტალურად შეისწავლეს თითქმის ყველა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტებმა, სოკ-ის წევრთა უმეტესობამ. თუ ვიმსჯელებთ მათი აზრიდან გამომდინარე, რაც პირადად ჩემთვისაც გაუზიარებიათ, თუ ვიმსჯელებთ ჟურნალისტებთან მათი საუბრების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვს, როგორც ოლიმპიურ პრეტენდენტს, უკვე დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული.

გასათვალისწინებელია ის ასი მედალიც, რომლებიც 1952 წლიდან დღემდე ჩამოიტანეს შინ ოლიმპიური თამაშებიდან საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებიც ამჟამად ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებენ მსოფლიო სპორტში.

ვენაში თავს მოიყრის სოკ-ის 70 წევრი (78-დან). 22 ოქტომბერს დილით მოსკოვის დელეგაცია პირველი უამბობს სოკ-ის წევრებს საბჭოთა დედაქალაქის შესაძლებლობებსა და ოლიმპიურ პერსპექტივებზე (ასე გადაწყვიტა კენჭისყრამ). ამისთვის 80 წუთია გამოყოფილი.

ამ დროის განმავლობაში უნდა ვუჩვენოთ 15-წუთიანი ფილმი „მოსკოვი სტუმრებს იწვევს“, ამასთან, დამსწრეთ უნდა მივცეთ აუცილებელი ახსნა-განმარტებანი. პასუხები სოკ-ის წევრთა მრავალრიცხოვან შეკითხვებზე ამ ნახევარსაათიან რეგლამენტში არ შედის.

შემდეგ გამოვა ლოს-ანჯელესის დელეგაცია, რომელიც ასევე აცხადებს პრეტენზიას 1980 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობაზე. შემდეგ ტრიბუნაზე ავლენ ამერიკის კიდევ ერთი ქალაქის — ლეიკ-პლესიდის წარმომადგენლები, 1980 წლის „თეთრი ოლიმპიადის“ მასპინძლობის სურვილს მხოლოდ ეს ერთი ქალაქი აცხადებს.

23 ოქტომბერს დილით მოეწყობა საიდუმლო კენჭისყრა. ამ კენჭისყრის ოქმებსა და შედეგებს გამომთვლელი კომისია კონვერტში ჩადებს, დაბეჭდავს და სოკ-ის პრეზიდენტს გადასცემს. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ხმების აუცილებელი რაოდენობა ვერ დააგროვა, პროცედურა დამთავრდება სიტყვით „არა“. მაშინ მოეწყობა კენჭისყრის შემდეგი ტური. თუ შედეგი გაირკვა, დასტურის ნაშნად იტყვიან: „დიახ“. მერე პრეს-კონფერენციაზე, რომელიც არჩევნების შემდეგ მოეწყობა, სოკ-ის პრეზიდენტი კონვერტებს გახსნის და კენჭისყრის შედეგებს გამოაცხადებს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამჯერად ლორდი კილანინი მოსკოვს დაასახელებს, — თქვა დასასრულს სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ.

## 19 45

◆ ბატონვიცე, 12 ოქტომბერი. „კლასიკოსთა“ აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში უდანაკარგოდ გამოდის წინა ჩემპიონატების გმირი — სსრ კავშირის მოჭიდავეთა ნაკრები. ცხრავე საბჭოთა სპორტსმენი უმაღლესი წოდებების პრეტენდენტია. მეორე დღეს სსრ კავშირის მოჭიდავეთა უმრავლესობამ წმინდა გამარჯვებას მიაღწია: ალმაათელმა ნაზარენკომ (82 კგ-მდე) 1 წუთსა და 56 წამში სძლია ნორვეგიელ მისენს, ალმაათელმა რეზანცევმა (90 კგ-მდე) — 7 წუთსა და 30 წამში — იაპონელ იამაგუტის, მოსკოველმა მუსტაფინმა (57 კგ-მდე) — 8 წუთსა და 11 წამში — ფინელ პერტის, მოსკოველმა კავკაევმა (62 კგ-მდე) — 3 წუთსა და 27 წამში — დასავლეთგერმანელ ლაკაზეს, მოსკოველმა ბალბოშინმა (100 კგ-მდე) — 4 წუთსა და 15 წამში — უნგრელ ფარკაშს. კიეველმა დავიდიანმა (68 კგ-მდე) ქულებით აჯობა შვედ სკელდს. ქების ღირსნი არიან ერევნელი არუთიუნოვი (52 კგ-მდე) და თბილისელი ბერიშვილი (74 კგ-მდე), რომლებმაც ქულებით დაამარცხეს სახელოვანი მეტოქეები — მსოფლიო ჩემპიონები, რუმინელი გინგა და ბულგარელი კოლევი. ამ უკანასკნელს 6 საჯარიმო ქულა დაუგროვდა და ასპარეზობას გამოეთიშა. კარგად ჭიდაობენ ხალიჩის მასპინძლებიც — მსოფლიო ჩემპიონები, ტყუპი ძმები ლიპენები: იუზეფმა (57 კგ-მდე) ქულებით მოუგო ბულგარელ სტეფანოვს (ჩემპიონატს გამოეთიშა), ხოლო კაზიმეჟმა (62 კგ-მდე) ბეჭებზე დასცა ალბანელი ნდრიცინი. ორი ოლიმპიადის ჩემპიონის, ბულგარელი კიროვის (52 კგ-მდე) შერკინება მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორთან, პოლონელ მიხალიკთან ფრედ დამთავრდა. კარგ შთაბეჭდილებას ახდენენ გდრ-ის წარმომადგენლებიც. მაგალითად, მსოფლიო და ევროპის პირველობათა პრიზიორმა ველინგმა (68 კგ-მდე) წმინდად დაამარცხა ესპანელი კურბელო, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა გეპფერტმა (74 კგ-მდე) ასევე წმინდად სძლია ავსტრიელ ჰისს.

## ფინიში გაბრწყინებით

სოფლის სპორტსმენი, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი მძლეოსნურ ხუთჭიდში, 18 წლის გენოვაიტე კიუდიტე ლიტვაში მეორიათასე სპორტის ოსტატია. ეს 11 ოქტომბერს გამოცხადდა პროფკავშირების სასახლეში, ლიტვის VI საზაფხულო სპარტაკიადის საზეიმო დახურვაზე.

— ყველა ეტაპზე გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობდა ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი — ლიტვის ყოველი მეექვსე მცხოვრები, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ კ. მაცკიავიჩიუსმა, პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ. — ასპარეზობა მთელ ლიტვას მოედო: სპარტაკიადები ჩატარდა თითქმის 2900 ფიზკულტურულ კოლექტივში (საერთო რიცხვი — 3400). ფინალები სპორტის 41 სახეობაში ჩატარდა ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და სოფლებშიც კი. თითქმის ყველგან მოპოვებულია უკეთესი მაჩვენებლები, ვიდრე V რესპუბლიკურ თამაშებში.

დამყარდა 60 რესპუბლიკური რეკორდი, ნაჩვენებია 126 ოსტატის შედეგი. ფინალების ყოველ მეოთხე მონაწილეს ოსტატის ვერცხლისფერი სამკერდე ნიშანი ეკეთა — ეს არნახული შემთხვევაა ლიტვის სპორტში.

— ექსპერიმენტმა — რესპუბლიკური სპორტული დათვალიერების მოწყობამ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადამდე ერთი წლით ადრე — საშუალება მოგვცა დრო მოგვეგო 1975 წლის გადამწყვეტი სტარტებისთვის უკეთ მოსამზადებლად, — თქვა კ. მაცკიავიჩიუსმა.

ხუთ თვეს გაგრძელდა რესპუბლიკური სპარტაკიადა. ზეიმზე დაასახელეს გამარჯვებულები. ესენი არიან: ვილნიუსის, კლაიპედის, კაუნასის რაიონის გუნდები — მასობრივ სახეობებში; კაუნასის, კლაიპედის, ანიკშჩაის რაიონის კოლექტივები — ტექნიკურ სახეობებში. ამ ქალაქებისა და რაიონების სპორტსმენებს გადაეცათ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პატარა პრიზები. დიდი პრიზების მფლობელნი გამოვლინდებიან სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის შემდეგ იმ შედეგების გათვალისწინებით, რომლებსაც ლიტვის ნაკრების შემადგენლობაში მოიპოვებენ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები.

სპარტაკიადას გააგრძელებენ არა მარტო ნაკრები გუნდები, არამედ კოლექტივები: 1975 წელს მათ ელით მასობრივი კომპლექსური შეჯიბრებები მშდ კომპლექსის მრავალჭიდში.

ვილნიუსი.

# თეთრ სამეფოში



## ბედნიერება

თეთრი მდუმარება, ნაპრალებით დასერილი მთის ფერდობები, ტაატით მიმავალი, ერთ თოკში ჩაბმული ადამიანები და ბომბორა ძაღლი. ეს ხომ ჯეკ ლონდონისეული სურათია. ჩვენც, თბილისის უნივერსიტეტის ტრადიციული ალპინიადის მონაწილეებს, სწორედ დიდი ამერიკელი მწერლის მოთხრობები გვახსენდებოდა, როცა მყინვარწვერს ვუტევდით.

თეთრი დათვივით ძალლი ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოსადგურის მობინადრეებისაა. თურმე ყველას, ვინც მყინვარწვერზე სალაშქროდ მიდის, ეს ჭკვიანი ძაღლი აცილებს ღამის წყვდიადში. თუმცა, რატომ წყვდიადში, ჩვენი ლაშქრობის დროს ხომ კაშკაშა, სავსე მთვარე გვინათებდა გზას, ხოლო თვითონ მყინვარწვერი ანდამატივით გვიზიდავდა.

...ქალარა მყინვარწვერი ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან შეგვაყვარა ქართული მწერლობის სიამაყემ ალექსანდრე ყაზბეგმა. ახლა ჩვენს ლაშქრობას სწორედ ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან 125 წლისთავის იუბილეს ვუძღვნით. მაგრამ მიგვიღებს კი სტუმრებს ჭირვეული „ხევის პატარძალი"? მან ხომ წინაღლით, ისევე როგორც შარშან, უარით გაგვისტუმრა ბარში. სიარულში დრო თვალსა და ხელს შუა გვეპარება და განთიადი იწყება...

დიდებული სანახავი იყო ამ დროს აღმოსავლეთი. მერე კი, როცა 5043 მეტრი სიმაღლიდან სამი ცისფერა მამხალა ბიჭრა ცაში, ჩვენზე ბედნიერი ადამიანები არ გვეგულებოდა დედამიწის ზურგზე.

ოცდახუთი უნივერსიტეტელი და თხუთმეტი ყაზბეგელი ახალგაზრდა დიდხანს ვულოცავდით ერთმანეთს მყინვარწვერის დაპყრობას.

...ხდის ხეობაში ჩასულებმა შევიტყვეთ, რომ 54 ახალბედა მთამსვლელს კიბიშის ზეკარი და მწვერვალი ყურო დაელაშქრა. ისინი თბილისში სსრ კავშირის ალპინისტის სამკერდე ნიშანს მიიღებენ. მათ, ვისაც ეს ნიშანი უკვე მოპოვებული ჰქონდა, მწვერვალებს გორისა და ილია ჭავჭავაძეს შეუტიეს. ეს მწვერვალები შესაბამისად 2ა და 2ბ კატეგორიების სირთულისაა. თანრიგოსნებმა წწვერვალ სიმონ ჯაფარიძის დაპყრობა გადაწყვიტეს 3ბ კატეგორიის სირთულის გზით. ერთ-ერთ ხუთკაციან ჯგუფში, რომელსაც ნუგზარ ნიგურიანი ხელმძღვანელობდა, ჩვენც მოვხვდით.

## წინამძღოლი და სხვები

ნუგზარი -ჩვენი თანატოლია — 24 წლისაა. იგი, როგორც თვითონ ამბობს, გვიან დაუმეგობრდა მთებს და ახლა უსაზღვროდ ეტრფის ქალარა მწვერვალებს. ეს ახალგაზრდა მთამსვლელი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტია. ამ ალპინიადაზე იგი ჩვენს დასახმარებლად ჩამოვიდა, როგორც ინსტრუქტორი.

ჯაფარიძეზე ლაშქრობისას ორი დღის მანძილზე ნუგზარი წინ მიგვიძღოდა. ქურციკივით დახტოდა პირდაღებულ ნაპრალებზე და თან ჩვენ გვადევნებდა თვალს, რჩევა-დარიგებას გ... სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ... ჩემპიონია, ქვეყნის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი. ეს უკანასკნელი ტიტული მან შარშან მშობლიურ სვანეთში ჯაფარიძიდან თეთნულდამდე ტრავერსისთვის მიიღო. წლეულს კი ნუგზარ ნიგურიანმა ზვიადი უშბა დაიპყრო ურთულესი გზით. ასეთი მნიშვნელოვანი ლაშქრობების შემდეგ ჯაფარიძეზე ასვლა მისთვის ალბათ ტურისტული გასეირნება უფრო იყო...

ავათავეთ თუ არა მწვერვალ ჯაფარიძისკენ მიმავალი ყინვარი, ინათა კიდეც და ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთ წევრს თავგადადებულ ფოტომოყვარულ თენგიზ თოფურიძეს საქმე გაუჩნდა. სხვათა შორის, იგი ერთ-ერთი პრიზიორია საქართველოს ალპური კლუბის შარშანდელი საერთაშორისო ფოტოკინოკონკურსისა „მთები და ადამიანები".

ამასობაში მწვერვალზეც ავაღწიეთ. ეს გამარჯვება განსაკუთრებით უხაროდა ჩვენი ჯგუფის ორ წევრს — გია ჭანიშვილსა და სოსო ბანძელაძეს. მათთვის ჯაფარიძე პირველი 3ბ კატეგორიის სირთულის მწვერვალი იყო.

ეს მწვერვალი პირველად 1944 წელს დაიპყრო ალექსანდრე ჯაფარიძის ჯგუფმა და მას თავისი ძმის — სიმონ ჯაფარიძის სახელი უწოდა. ასე „იძია შური" ალექსანდრემ თავისი ძმის თეთნულდზე დაღუპვისთვის.

მწვერვალზე ნიშიდან ირაკლი გელდიაშვილის ჯგუფის მიერ წინაღლით დატოვებული ბარათი მოვხსენით. ჩვენი ასვლა ალპინიადის ბოლო აკორდი იყო.

აქედან ვხედავდით ზურაბ ზურაბიშვილის ჯგუფსაც, რომელიც ასევე უკანასკნელი გადიოდა რუსთავ — ძნელაძის ტრავერსს. მანამდე კი რომან ცაგარლისა და დავით გუდიაშვილის ჯგუფებმაც გაიარეს იგივე „ბილიკი".

რუსთავ—ძნელაძის ტრავერსი, რომელიც 4ბ კატეგორიის სირთულისაა, პირველად სწორედ ამ ალპინიადის ხელმძღვანელის, სპორტის საპატიო ოსტატ შოთა მირიანაშვილის ჯგუფმა გააკეთა 1955 წელს.

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ყაზბეგის რაიონი.







სურათებზე: ხდის ულამაზეს ხეობაში ორმაგად გემრიელია ცხელი კერძი; ვიდრე მწვერვალთა დაპყრობა დაიწყება, ასეთ პიტალო კლდეებზეა აუცილებელი ვარჯიში; მოლაშქრეთა ერთ-ერთმა ჯგუფმა ეს-ესაა დაიწყო გერგეტის ყინვარის გადალახვა; მწვერვალ სიმონ ჯაფარიძეზე (მარცხნიდან მარჯვნივ) გ. ჭანიშვილის; ნ. ნიგურიანის, ს. ბანძელაძისა და თ. თოფურიძის „ვაშა" გაისმის.

ავტორის ფოტოები.

საქართველოს სპორტკომიტეტში

## ახალდანიშნულ თავმჯდომარეთა თათბირ-სემინარი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა ჩაატარა ფიზკულტურის რაიონული და საქალაქო კომიტეტების ახალდანიშნულ თავმჯდომარეთა თათბირ-სემინარი.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სპორტკომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკების მოხსენებები და ორგანიზაციულ-მეთოდური მითითებანი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ძირითად საკითხებზე.

გამოცდილების ურთიერთ გაზიარების მიზნით სემინარზე გამოვიდა სამტრედიის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. კალაძე.

## გაიმარჯვა 66-ე სკოლამ

რუსთავში, დოსააფის ცენტრალური კომიტეტის ბაზაზე, ჩატარდა გასამხედროებული შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის 66-ე, 77-ე და 78-ე სკოლების გუნდები. პროგრამაში იყო კროსი, ხელყუმბარის ტყორცნა და მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა.

გოგონებში ყველას აჯობა ლ. მაგუზოვამ (66-ე სკოლა). II ადგილზეა მ. ბიბილაშვილი (77-ე სკოლა), III — მ. მარტიროსიანი (66-ე სკოლა).

ჭაბუკთა შეჯიბრება მოიგო ჟ. უშაკოვმა (78-ე სკოლა). მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ მისი თანაგუნდელები ა. ბაბაევი და ო. მარტიროსოვი.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს 66-ე სკოლის მოსწავლეებმა.

ჩ. ხაჩიძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

რუსთავი.

კაჭკის სურათებში

## აშენებენ სპორტულ კომპლექსს

მეხაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საცდელ სადგურში ფიზკულტურის კოლექტივის აქტიური მონაწილეობით სპორტული კომპლექსი შენდება. გათვალისწინებულია ფრენბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის, ბადმინტონისა და ხელბურთის მოედნების მოწყობა. უკვე შეძენილია ფრენბურთისა და ჩოგბურთის დანადგარები, ჩოგნები, ფრენბურთისა და ბადმინტონის ბადეები და სხვ.

ფილიალის სპორტული კომპლექსი გადაიქცევა „განთიადის" ძირითად სპორტულ ბაზად, სადაც ადგილობრივი და ზონალური შეჯიბრებები გაიმართება.

ლ. ზურაბიშვილი,
საცდელი სადგურის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე.

ფულაავრ.

# უეერული სპარტაკიადა

ბათუმში მიმდინარეობს VI საქალაქო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც 25 სახეობა შედის.

პირველ დღეს მძლეოსნები გამოვიდნენ სარბიელზე. სამწუხაროდ, „სპორტის დედოფლის" ბევრ სახეობაში შეჯიბრება საერთოდ არ გამართულა, ზოგში კი სულ რამდენიმე მონაწილე გამოვიდა სარბიელზე. შედეგებიც დაბალი იყო.

ცუდად ჩატარდა წყალში მხტომელთა შეჯიბრებაც.

სამაგიეროდ, კარგად იყო ორგანიზებული ძიუდოისტთა და თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებები, რაც საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის გ. თარგამაძისა და გ. გოგიჩაიშვილის დამსახურებაა. ამ სახეობებში ყველას აჯობეს დინამოელებმა.

მოკრივეთა ტურნირში გამოაშკარავდა მოასპარეზეთა სუსტი მომზადება. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს „სპარტაკის" წარმომადგენლებმა.

ხუთ სახეობაში ასპარეზობის შემდეგ ლიდერობენ „დინამოს" სპორტსმენები.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

# საცურაო აუზი სოფლად

ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის ცენტრში ახალგაზრდების თაოსნობით აშენდა და მწყობრში ჩადგა საცურაო აუზი (სიგრძე — 25 მ, სიგანე — 10 მ) და სამმეტრიანი ტრამპლინი.

სოფლის ახალგაზრდებს ახლა შესაძლებლობა მიეცათ ჩააბარონ მშდ კომპლექსის ნორმატივები ცურვაში.

საცურაო აუზის აგებამ სოფელში დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია, სკოლასა და კოლმეურნეობაში შეიქმნა ცურვის შემსწავლელი წრეები, რომელთაც სათავეში ჩაუდგნენ მეორე სვირის 1-ლი საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლები ნ. ხიდაშელი და ს. ხიჯაკაძე.

აღსანიშნავია ისიც, რომ შემოდგომის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთის მინდორი, იქვე კეთდება ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, მძლეოსნობის სექტორები, სარბენი ბილიკები. ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს მეორე სვირის ახალგაზრდებს სპორტულ დაოსტატებაში.

ა. ბანუგრავა.
(ჩვენი კორ.).

სოფ. მეორე სვირი,
ზესტაფონის რაიონი.



## სსრ კავშირის პირველობა

I ლიგა

# 3 ბურთი ცოტა იყო

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 11 ოქტომბერი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 3:0 (2:0).

„ტორპედო“: გაბელია (კვერნაძე), კოსტავა, ფარულავა, ჭოხონელიძე, ქვირია, ოქრომჭედლიშვილი, ჩახუნაშვილი, შელია (სულაქველიძე), შენგელია (ბურკაძე), ხერხაძე, გაბიჩვაძე.

„ტექსტილშჩიკი“: სკოროპევი, კოლესნიკოვი, გორნუშკინი, ლოგუშინი, სავინოვი, ზერნოვი, შულიაკოვი, პოტაპოვი, პიანოვი, ანიკუშინი, ტულბინი.

მსაჯი ი. ვოლშანსკი (ტაშკენტი).

დუბლიორები — 2:1.

ტორპედოელთა უპირატესობა აუტსაიდერთან შეხვედრაში ისეთ აშკარა ფორმებში გამოიხატა, რომ მე-12 წუთისთვის ისინი ფაქტიურად უკვე გამარჯვებულნი იყვნენ: ჯერ ჭოხონელიძემ დაარტყა შორიდან და „ტექსტილშჩიკის“ მეკარემ დაავგიანა „გამოფხიზლება“, შემდეგ კი, ერთ-ერთი იერიშისას, ჩახუნაშვილმა კარგად შეუცვალა ბურთს მიმართულება და იგი ბადეში აღმოჩნდა — 2:0.

შემდგომში „ტორპედო“ კვლავ და კვლავ უტევდა. სტუმრების კართან შექმნილი სახიფათო მომენტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. გოლის გატანა შეეძლოთ ჩახუნაშვილს, ხერხაძეს, კოსტავას. „ტექსტილშჩიკის“ დაცვა განუწყვეტელ შრომაში იყო, სკოროპევს სისტემატურად უხდებოდა სახიფათო ბურთების მოგერიება, თავის მხრივ, ივანოველებს ერთხელ მიეცათ ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა და მაშინაც გაბელიამ მოიგერია ანიკუშინის ძლიერი დარტყმა.

შესვენების შემდეგ ქუთაისელებმა ახალი ძალებით შეუტიეს. 48-ე წუთზე ხერხაძემ თავისი სწრაფი გარღვევა უზუსტო დარტყმით დაამთავრა, შემდეგ ბურკაძემ, ჭოხონელიძემ, შელიამ, კვლავ ბურკაძემ დაკარგეს ანგარიშის გაზრდის აშკარა შესაძლებლობანი. ბოლოს, 76-ე წუთზე ჩახუნაშვილმა საჯარიმო მოედნის ხაზიდან ზუსტად დაარტყა და „ტექსტილშჩიკის“ კარში მესამე ბურთი აღმოჩნდა.

ერთი სიტყვით, 3 გოლი მინიმუმ შეგვიძლია ჩავთვალოთ იმ მრავალი შესაძლებლობიდან, რომლებიც ქუთაისის „ტორპედოს“ ჰქონდა ამ მატჩში.

ზ. ნიჟარაძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

## სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „პამირი“ (დუშანბე) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:0, „სტროიტელი“ (აშხაბადი) — „დინამო“ (მინსკი) 2:3, „ნეფთჩი“ (ბაქო) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:0, ასკ (დონის როსტოვი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 3:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 4:1, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 3:0, „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „ზვეზდა“ (პერმი) 0:1, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 2:0.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომ.“ | 34 | 19 | 7 | 8 | 59—28 | 45 |
| „კრ. სოვ.“ | 34 | 18 | 8 | 8 | 57—36 | 44 |
| „დინამო“ | 34 | 18 | 8 | 8 | 46—33 | 44 |
| „ნეფთჩი“ | 34 | 17 | 9 | 8 | 46—24 | 43 |
| ასკ | 34 | 17 | 9 | 8 | 51—32 | 43 |
| „ტავრია“ | 34 | 17 | 5 | 12 | 65—46 | 39 |
| „კუზბასი“ | 33 | 17 | 4 | 12 | 43—41 | 38 |
| „ტორპედო“ | 34 | 13 | 10 | 11 | 34—36 | 36 |
| „შინიკი“ | 34 | 11 | 12 | 11 | 44—43 | 34 |
| „ზვეზდა“ | 34 | 12 | 9 | 13 | 47—54 | 33 |
| „მეტალურგი“ (ზაპ.) | 34 | 11 | 10 | 13 | 37—42 | 32 |
| „პამირი“ | 33 | 10 | 11 | 12 | 41—40 | 31 |
| „სპარტაკი“ (ნალ.) | 34 | 9 | 13 | 12 | 32—38 | 31 |
| „სპარტაკი“ (ივ.-ფრ.) | 35 | 8 | 14 | 13 | 33—37 | 30 |
| „ურალ.“ | 34 | 11 | 8 | 15 | 32—44 | 30 |
| „სპარტაკი“ (ორჯ.) | 34 | 13 | 4 | 17 | 39—58 | 30 |
| „სტროიტ.“ | 34 | 9 | 10 | 15 | 37—47 | 28 |
| „ყუბანი“ | 34 | 9 | 9 | 16 | 50—66 | 27 |
| „მეტალურგი“ (ლიპ.) | 35 | 8 | 9 | 18 | 30—45 | 25 |
| „ტექსტილ.“ | 34 | 5 | 7 | 22 | 31—64 | 17 |

II ლიგა
III ზონა

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (ბათუმი) | 35 | 19 | 12 | 4 | 52—21 | 50 |
| „დილა“ (გორი) | 35 | 21 | 7 | 7 | 82—34 | 49 |
| „ტორპედო“ (ვლადიმირი) | 34 | 18 | 12 | 4 | 51—23 | 48 |
| „ურალანი“ (ელისტა) | 36 | 19 | 7 | 10 | 53—35 | 45 |
| „ისკრა“ (სმოლენსკი) | 35 | 18 | 8 | 9 | 55—29 | 44 |
| „დინამო“ (ვოლოგდა) | 35 | 17 | 10 | 8 | 53—38 | 44 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 36 | 15 | 9 | 12 | 58—39 | 39 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 35 | 15 | 9 | 11 | 44—46 | 39 |
| „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) | 35 | 14 | 10 | 11 | 43—33 | 38 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 35 | 16 | 4 | 15 | 53—48 | 36 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 36 | 15 | 6 | 15 | 46—46 | 36 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 35 | 8 | 17 | 10 | 43—45 | 33 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 35 | 11 | 11 | 13 | 41—53 | 33 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 35 | 12 | 7 | 16 | 47—59 | 31 |
| „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) | 35 | 11 | 6 | 18 | 37—48 | 28 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 35 | 11 | 6 | 18 | 39—63 | 28 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 35 | 10 | 7 | 18 | 31—51 | 27 |
| „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) | 35 | 10 | 3 | 22 | 36—58 | 23 |
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 35 | 4 | 9 | 22 | 23—68 | 17 |
| „ფოლადი“ (ხუმგაითი) | 35 | 5 | 4 | 26 | 22—71 | 14 |

### ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

დღეს ერევანში შედგება საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი: „არარატი“ — „დინამო“ (თბილისი).

ფეხბურთის მოყვარულებს შეუძლიათ ნახონ მატჩის ტელეტრანსლაცია 17 საათიდან თბილისის დროით.

## 1:0

როტერდამი, 10 ოქტომბერი. მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაესწრო ფეხბურთელთა აქ გამართულ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს: ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს X ჩემპიონატის ფინალისტი — ჰოლანდიის ეროვნული გუნდი და შვეიცარიის ნაკრები. თამაში მძაფრი და საინტერესო გამოდგა. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც სტუმართა კარში შესვენებამდე გაიტანა გილსმა.

## მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

# კარპოვი — კორჩნოი 2:0 (8 ყაიმი)

მოსკოვი, 11 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს XI პარტიაში პირველად გათამაშდა ახალინდური დაცვა. მე-7 სვლაზე კორჩნოიმ განვითარების შედარებით ახალი გეგმა განახორციელა: ლაზიერი თამაშში ადრევე ჩაება.

მალე კარპოვმა ცენტრში ორი, ეგრეთ წოდებული დაკიდებული პაიკი მიიღო. მსგავსი პაიკები იერიშს ხელს უწყობს, მაგრამ სუსტია დაცვაში. მეტოქეებმა გააჩაღეს მანევრული თამაში, რომელშიც კორჩნოი უფრო მარჯვე აღმოჩნდა. მან თავის ერთ-ერთ კუს დიდი დიაგონალი დააპყრობინა.

მე-18 სვლაზე კარპოვი შეყოვნდა. ცენტრალური პაიკის შეწირვით მის მხედარს შეეძლო დომინირებული პოზიციის დაკავება. მერე უპირატესობის გაზრდის შანსი კორჩნოიმაც ვერ გამოიყენა. იგი სხვა გზას დაადგა, მაგრამ ამან ვერ შეუმსუბუქა კარპოვს დაცვა.

30-ე სვლიდან პარტიაში ძალიან მძაფრი კომბინაციური თამაში გაჩაღდა, რამაც მაყურებლებს დიდი სიამოვნება მიანიჭა. კორჩნოი ცაიტნოტშიც ზუსტად და წინდახედულად თამაშობდა. ენდშპილში გადასვლის შემდეგ დაძაბულობა არ შენელებულა.

პარტია გადაიდო ასეთ პოზიციაში:

თეთრები (კორჩნოი): მფf2, ეc3, კd4, მძ2, პპ. a3, c5, e4, g3, h2.

შავები (კარპოვი): მფd7, ეa5, კd5, კf8, პპ. a7, f6, f3, g7, h7.

კარპოვმა ჩაიწერა თავისი 41-ე სვლა. სპეციალისტების აზრით, ყაიმია მოსალოდნელი.

# დაცვაც ხელოვნებაა




უდავო ჭეშმარიტებაა: ლიდერის თამაშისადმი მაყურებელი მეტ მომთხოვნელობას იჩენს. ამიტომაც XI ტურში, რომელიც გუშინწინ გაიმართა, ლიდერთა პარტიები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა.

უფერული ყაიმით დამთავრდა 38-ე სვლაზე მხოლოდ ე. ფათალიბეკოვას (მოსკოვი) შეხვედრა ა. გრინფელდთან (კალინინგრადი). მეტოქეებმა ფიგურების გაცვლით თამაში თანაბარი ეტლების ენდშპილამდე მიიყვანეს.

სამაგიეროდ, მ. რანიკუმ (ტალინი) და მ. შულმა (ლვოვი) დიდი ბრძოლა გააჩაღეს. რანიკუმ (შავებით) დაცვის მიზნით ცენტრში პაიკთა ჯებირი აღმართა, მერე ეტლი ცენტრალურ ხაზზე გადმოიყვანა, ლაზიერი დიდ დიაგონალზე კუს დასახმარებლად გამოწვესა, შემდგომ კი ეტლს მეორე ეტლი ამოუყენა და ცენტრს გარღვევით დაემუქრა. მეტოქის მანევრებს შულმა მეფის ფრთაზე იერიში დაუპირისპირა. როგორც ჩანს, ლვოველმა მოჭადრაკემ მეტოქის დაცვის ყველა ნიუანსი ვერ გაითვალისწინა და ინიციატივას რანიკუ დაეუფლა. კონტრიერიში იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ შული იძულებული შეიქნა ხარისხი დაეთმო, მაგრამ მდგომარეობა ვერც ამ მსხვერპლის გაღებამ შეუმსუბუქა. მე-40 სვლაზე რანიკუმ გაიმარჯვა.

ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) პოტენციური ლიდერია, ვინაიდან, ორ გადადებულ პარტიაში წარმატების შემთხვევაში შეუძლია დაწინაურებულ კოლეგებს მხარში ამოუდგეს. მაგრამ ყოველი ახალი შეხვედრა მისთვის ნაკლები მნიშვნელობისა როდია. ეს საუცხოოდ გამოჩნდა ც. კობაიძესთან (თბილისი) პარტიაში.

კოზლოვსკაიამ ძველინდური დაცვა აირჩია, რათა რთულ სტრატეგიულ ჭიდილში ახალგაზრდა მეტოქე დაეჯაბნა. მან ხაზიც გახსნა ლაზიერის ფრთაზე და მერე ცენტრსაც შეუტია. კობაიძე ფხიზლად იყო — დაცვაც ხომ თავისებური ხელოვნებაა. მერე, როცა კოზლოვსკაიას იერიში მინელდა, მან თავად გაილაშქრა მეტოქის მეფის პოზიციის წინააღმდეგ. ცაიტნოტში მყოფმა პიატიგორსკელმა ოსტატმა დაცვის პრობლემებს თავი ვერ გაართვა, ორი პაიკი დაკარგა და მალე დამარცხდა კიდეც.

მეტოქის ფსიქოლოგიის ცოდნა ბრძოლას აადვილებს. ტ. პოპოვამ (მოსკოვი) ალბათ არ იცოდა, რომ მ. ჩიბურდანიძეს, მართალია, პოზიციური ყაიდის თამაში უყვარს, მაგრამ ტაქტიკოსის მახვილი თვალიც აქვს. სიცილიურ დაცვაში პოპოვამ მხედრის შეწირვით უროკოდ დარჩენილი ნორჩი ოსტატის მეფის დალაშქვრა სცადა, მაგრამ მოტყუვდა. მაიამ ორიოდე ზუსტი სვლით უვნებელყო მუქარა და ზედმეტი ფიგურით 36-ე სვლაზე გაიმარჯვა.

იერიშმა ტ. კოსტინას (მინსკი) მეფეც იმსხვერპლა. თავდასხმა ლ. ვულენკომ (ზაპოროჟიე) ენდშპილში განახორციელა. იგივე დაემართა ტ. ფომინას (ტალინი) გვირგვინოსანს, რომელსაც ტ. მოროზოვამ (ლვოვი) 20 სვლაში დააყრევინა ფარ-ხმალი.

გადაიდო პარტიები: ა. კისლოვა (ომსკი) — მ. სამული (ტალინი), თ. ხუგაშვილი (თბილისი) — ე. ბახრეხი (მოსკოვი), თ. გოლოვეი (მინსკი) — ნ. მედიანიკოვა (მოსკოვი).

თავისუფალი იყო რ. ბილუნოვა (მოსკოვის ოლქი).

XI ტურს მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობაში ცვლილებები თითქმის არ შეუტანია. ე. ფათალიბეკოვას 9 ქულა აქვს, მ. რანიკუს — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, მ. სამულს — 6 (1), ა. გრინფელდს, ც. კობაიძეს, მ. ჩიბურდანიძეს — 6-6.

თ. გიორგაძე.

# მძლეოსნების მეგობარი

## გამოიწერეთ ჟურნალი „ლიოგკაია ატლეტიკა“




გამოვიდა და ხელის მომწერლებს დაურიგდათ ყოველთვიური სპორტულ-მეთოდური ჟურნალ „ლიოგკაია ატლეტიკის“ მორიგი, მე-9 ნომერი. როგორც მუდამ, ამ ნომერშიც მძლეოსნობის მოყვარულებისთვის ბევრი საინტერესო მასალაა დაბეჭდილი.

მკითხველი გაეცნობა სსრ კავშირის მთავარი სპორტული სარბიელის — მოსკოვის ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე მოპოვებულ ყველა უმაღლეს მიღწევას მძლეოსნობაში.

დაბეჭდილია მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით მძლეოსანთა შეჯიბრების, ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონატისა და სსრ კავშირ — აშშ-ს ნაკრები გუნდების მატჩის ტექნიკური შედეგები. აქვე გაეცნობით მათ, ვინც სწორედ ბოლო ჩემპიონატში პირველად მოიპოვა ოქროს მედალი.

ტექნიკისა და მეთოდიკის განყოფილებაში გამოქვეყნებულია პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ბ. ბარტენიევის, სპორტის დამსახურებული ოსტატის რ. ლიულკოს, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორის ი. ვერხოშანსკისა და სხვათა მასალები — „როგორი უნდა იყოს სპრინტერი“, „სპრინტერის ტაქტიკა“, „ხტომა სპრინტერის წვრთნაში“, „რბენა მისაბმელით“...

ჟურნალმა ერთ-ერთ წინა ნომერში შემოიღო რუბრიკა — „მოდით, დავაზუსტოთ“, რომელშიც სსრ კავშირის მოწინავე მწვრთნელები და მათი აღსაზრდელები ამა თუ იმ სახეობის განვითარების შესაძლებლობებზე ბჭობენ. სექტემბრის ნომერში ეს განყოფილება სპორტის დამსახურებულ ოსტატს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს ე. გოკიელსა და მის მოწაფეს, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისა და დახურულ დარბაზებში ევროპის ჩემპიონს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ა. მოშიაშვილს აქვთ დათმობილი.

განყოფილებაში — „სპორტი და ჯანმრთელობა“ — გრძელდება ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნ. იაკოვლევის სტატია „მძლეოსანთა კვების საფუძვლები“. აქვე დაბეჭდილია სხვა საინტერესო მასალები.

ჟურნალში „ლიოგკაია ატლეტიკა“ არა მარტო სპეციალისტები — მწვრთნელები, სპორტსმენები, არამედ სხვა პროფესიების ადამიანებიც ნახავენ მათთვის საყურადღებო წერილებს.

ჟურნალი, რომელიც ყოველთვიურად გამოდის და 30 კაპიკი ღირს, მსურველებს შეუძლიათ შეუზღუდავად გამოიწერონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტვის სსრ. კაუნასში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი საზღვაო მრავალჭიდში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს შეიარაღებული ძალების სპორტსმენებმა. პირად შეჯიბრებაში ყველას აჯობა არმიელმა ა. ბელკოვმა.

• • •

სურათებზე: გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული შეიარაღებული ძალების კოლექტივი; ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი ა. ბელკოვი.

ვ. გულევიჩის ფოტოები (საკდესი).





# პირველი წრე უდანაკარგოდ განვლეს

კატოვიცე, 11 ოქტომბერი. გუშინ აქ დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. ადგილობრივი სპორტის სასახლის სამ სარბიელზე უმაღლესი ტიტულებისთვის 23 ქვეყნის 150-მდე ათლეტი იბრძვის. ფავორიტთა შორის ირიცხებიან ადგილობრივი მოჭიდავეები, აგრეთვე, სსრ კავშირისა და ბულგარეთის წარმომადგენლები.

ტურნირის საზეიმო გახსნაზე მაყურებლები ყველაზე გულთბილად საბჭოთა სპორტსმენებს შეხვდნენ. ეს გასაგებია: მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონთა მიმართ სპორტის მოყვარულები მუდამ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ. საბჭოთა ნაკრები მართლაც დიდი გეგმებითაა ჩამოსული კატოვიცეში, თუმცა ბოლო მომენტში შემადგენლობაში ერთი არსებითი ცვლილება მოხდა: ავადმყოფი მსოფლიო ჩემპიონის შ. ხისამუტდინოვის ნაცვლად ნაკრებში ჩაირიცხა ახალგაზრდა კიეველი ათლეტი, ევროპის ჩემპიონი ნ. დავიდიანი. სპეციალისტების აზრით, ეს ცვლილება გავლენას ვერ მოახდენს ნაკრების საბრძოლო პოტენციალზე.

პირველი წრე საბჭოთა ათლეტებმა უდანაკარგოდ განვლეს. ხალიჩაზე ერთ-ერთი პირველი გამოვიდა მჩატე წონის ათლეტი, ერევნელი ვ. არუთინოვი. მისი მეტოქე იყო საკმაოდ გამოცდილი მებრძოლი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან შმიდტი. საბჭოთა სპორტსმენმა აქტიურად იჭიდავა და გაიმარჯვა.

მერე ხალიჩაზე გამოვიდნენ ქვემსუბუქი წონის ათლეტები ფ. მუსტაფინი (სსრ კავშირი) და ფრანგი შეფერი. მუსტაფინმა მე-2 წუთზე წმინდა გამარჯვება იზეიმა.

4 წუთზე ცოტა მეტ ხანს გასტანა ა. კავკაევისა (მსუბუქი წონა) და იაპონელი მიახარას ორთაბრძოლამ. ამასთან, იაპონელმა ნახევარი დრო ხიდზე გაატარა და ბოლოს მაინც ორივე ბეჭით შეეხო ხალიჩას.

დამაჯერებელი გამოდგა ნ. დავიდიანის (პირველი ქვესაშუალო) დებიუტიც: რუმინელ ხუნცეს მან 8 ქულა აართვა და აშკარა უპირატესობით სძლია.

თბილისელი ი. ბერიშვილი (მეორე ქვესაშუალო) წლეულს მეორედ გამოდის დიდ სარბიელზე. მადრიდში, ევროპის პირველობაში, მან III საპრიზო ადგილი დაიკავა, ახლა კი კატოვიცეში უმაღლესი ტიტულისთვის იბრძვის. სტარტზე ბერიშვილის მეტოქე ძლიერი ამერიკელი მოჭიდავე ფილი იყო. ქართველმა ათლეტმა აქტიურად ჩაატარა შეხვედრა და წმინდა გამარჯვება მოიპოვა. ეს მოხდა ბრძოლის დაწყებიდან 24 წამის შემდეგ. ბერიშვილს ჯერჯერობით რეკორდი ეკუთვნის ყველაზე ხანმოკლე გამარჯვებისთვის.

კიდევ ორი წმინდა გამარჯვება იზეიმეს საბჭოთა მოჭიდავეებმა პირველ წრეში: ნ. ბალბოშინმა (ქვემძიმე) ბეჭებზე დასცა გალერი (აშშ), ხოლო თბილისელმა შ. მორჩილაძემ 1 წუთსა და 2 წამში დაამთავრა შეხვედრა ნორვეგიელ მძიმეწონოსან გუნდერსენთან.

რა შეიძლება ითქვას პირველი წრის ბრძოლებზე საერთოდ? ფავორიტებმა წარმატებით აიღეს სტარტი, თუმცა იყო რამდენიმე მოულოდნელი შედეგიც. მაგალითად, ახალგაზრდა ბულგარელი ათლეტი სტეფანოვი (57 კგ), რომელიც სპეციალისტებს საპრიზო ადგილის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად მიაჩნდათ, მოულოდნელად დამარცხდა უნგრელ მოლნართან. ყველაზე გულდასაწყვეტი კი ის არის, რომ სტეფანოვი დამაჯერებლად იგებდა შეხვედრას და მოულოდნელად წაშოეგო უნგრელის ანკესზე ბრძოლის დამთავრებამდე 4 წამით ადრე.

მეორე წრეში კიდევ თითო გამარჯვება მოიპოვეს არუთინოვმა და მუსტაფინმა.

ჩემპიონატი 13 ოქტომბერს დამთავრდება.

## ევროპის ფეხბურთის ამბები

### „რეალი" — „ფშვ ეინდჰოვენი"

„კადაც უნდა დაგვიჯდეს, ედსტრიომი უნდა ჩავიგდოთ ხელში", — ასე დაასკვნა მადრიდის „რეალის" დირექტორატმა. შესანიშნავი შვედი ცენტრალური თავდამსხმელი, როგორც ცნობილია, უკვე ორი წელია დიდი წარმატებით თამაშობს ჰოლანდიის I ლიგის კლუბ „ფშვ ეინდჰოვენში". ახლა ბევრს სურს მისი გადაბირება. ედსტრიომს ამ კლუბთან ორწლიანი ხელშეკრულება აკავშირებს, თუმცა „რეალი" თანახმაა გადაიხადოს თანხა, ოღონდ კი ეს ფეხბურთელი გადაიბიროს.

### ჩემპიონთა 100 ბურთი

გფრ-ის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატების ფინალებში ზუსტად 100 ბურთი აქვს გატანილი, — იუწყება პრაღის ჟურნალი „გოლი".

აი, ვინ შეიტანა ძირითადი წვლილი ამ 100 ბურთის გატანაში: მთავარ „ბომბარდირად" რჩება მიულერი — 14 ბურთი. მას მოსდევენ რანი (10), ზეელერი (9), შეფერი (7), მორლოკი (6), ჰალერი (6), ბეკენბაუერი (5), ფ. ვალტერი (3)...

## ჩემპიონატები, თასები, ტურნირები

### საფრანგეთი

ქვეყნის პირველობის XI ტურს ლიდერთა მდგომარეობა არ შეუცვლია: გათამაშების ცხრილს სათავეში კვლავ ორი გუნდი — ნიმის „ოლიმპიკი" და „სტად დე რეიმსი" უდგას. „ოლიმპიკმა" შინ დაამარცხა „მეტცი" (2:0), ხოლო „რეიმსმა" სტუმრად სძლია „ნანტს" — 1:0.

„ბორდომ" მოუგო „ნიცას" — 2:0. ჩემპიონმა და თასის მფლობელმა „სენტ-ეტიენმა" ამავე ანგარიშით სძლია ბოლო ადგილზე მყოფ „ანჟეს" და IV ადგილზე გადაინაცვლა.

ლიდერთა სამეული ასეა:

| | თ. | ქ. |
|---|---|---|
| „ოლიმპიკი" (ნიმი) | 11 | 16 |
| „სტად დე რეიმსი" | 11 | 16 |
| „ბორდო" | 11 | 15 |

### პორტუგალია

ჩემპიონატის V ტურში ლიდერობა ხელთ იგდო გიმარაიშის „ვიტორიამ", რომელმაც შინ დაამარცხა „ბელენენსეში" — 2:0. სეტუბალის „ვიტორიამ" ასევე შინ ფრედ (1:1) ითამაშა ლისაბონის „სპორტინგთან", ხოლო „ფარენსემ" დიდი ანგარიშით (5:0) დაამარცხა „ესპინიო".

| | | |
|---|---|---|
| „ვიტორია" (გიმარაიში) | 5 | 8 |
| „ბენფიკა" (ლისაბონი) | 4 | 7 |
| „ვიტორია" (სეტუბალი) | 5 | 7 |
| „ფარენსე" | 5 | 7 |

### იტალია

დაიწყო ქვეყნის ჩემპიონატი. შარშანდელმა ჩემპიონმა — რომის „ლაციომ" შინ მოუგო „ჩეზენას" — 2:1. „ბოლონიამ" შინ ამავე ანგარიშით დაამარცხა ტურინის „იუვენტუსი", ხოლო „ტორინომ" ასევე შინ სძლია „რომას" — 1:0.

მილანის „ინტერნაციონალემ" სტუმრად წააგო „ვარეზესთან" (0:2), „ასკოლიმ" კი — „ნაპოლისთან" — 1:3. ფლორენციის „ფიორენტინამ" სტუმრად მოუგო „ტერნანას" — 1:0.

ორ მატჩში („მილანი" — „სამპდორია" და „კალიარი" — „ლანეროსი") ანგარიში არ გახსნილა.

(საქ. ინფ.).

## [illegible]-74

● მანილა, 11 ოქტომბერი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში 5 ტურის შემდეგ ლიდერობს დანიელი დიდოსტატი ბ. ლარსენი — 4,5 ქულა. დაწინაურებულს ქულა-ნახევრით ჩამორჩებიან საბჭოთა დიდოსტატები ტ. პეტროსიანი და ე. ვასიუკოვი. სხვა მონაწილეებს კიდევ უფრო დიდი მანძილი აშორებთ ლიდერისგან. მორიგ ტურებში ლარსენმა ზედიზედ ორი პარტია მოიგო. პეტროსიანმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრები ფ. გეორგიუსთან (რუმინეთი) და უ. ანდერსონთან (შვეცია). ვასიუკოვმა მოუგო რ. კარდოსოს (ფილიპინები) და წააგო ჰ. პფლეგერთან (გფრ).

# იანის კრუმინში — კალათბურთელი და მხატვარი

ლატვიის კალათბურთის ისტორიაში იანის კრუმინში ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ფიგურაა. ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ვალდის მუიჟნიექსთან და მაიგონის ვალდმანისთან ერთად რიგის ასკ-ს მთავარ დამკვრელ ძალას წარმოადგენდა 50-ანი წლების ბოლოს, როცა გუნდმა სამჯერ მოიგო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. გიგანტმა კრუმინშმა (სიმაღლე — 217 სმ), თავისი პარტნიორებისგან განსხვავებით, შემდგომი ცხოვრება სპორტს არ დაუკავშირა.

— კალათბურთთან განშორებას ტოკიოს ოლიმპიადის დამთავრებისთანავე ვაპირებდი, — იხსენებს იანისი. — მაგრამ ამ დროს ჩვენმა გუნდმა უკან დახევა დაიწყო, მატჩს მატჩზე აგებდა. მწვრთნელებმა დამიყოლიეს და ისევ დავბრუნდი ცენტრის მოთამაშის პოსტზე ზოგჯერ მე, „მოხუცს", მრცხვენოდა მოედანზე გამოსვლა. მაგრამ რა მექნა? საჭირო იყო.

„საჭირო იყო" — ამ სიტყვებში ნათლად ჩანს თვითონ კრუმინში — კაცი, რომელიც პასუხისმგებლობის ღრმად შეგნების, სიმშვიდის, გონიერებისა და უდიდესი შრომისმოყვარეობის ნერგვის მაგალითს წარმოადგენს. მან მამა ადრე დაკარგა და ბავშვობიდანვე მინდვრად მოუხდა შრომა. მწვრთნელებმა იგი გვიან იპოვეს — იანისი 23 წლისა იყო, კალათბურთის თამაში რომ დაიწყო.

— პირველ შეჯიბრებაში თავი შევირცხვინე: ყველაზე მაღალი ვიყავი, მაგრამ „ქონდრისკაცები" მჯობდნენ. ძალიან განვიცდიდი...

სწორედ მაშინ იქცა იანისი დაუღალავ მშრომელად. წვრთნა რომ დამთავრდებოდა, ეტყოდნენ: კიდევ ასჯერ ტყორცნე და მერე წადიო. არ ამოწმებდნენ, მისი სჯეროდათ. იანისი მეხუთასე ტყორცნის შემდეგ მიდიოდა.

ი. კრუმინშის ბრწყინვალე გამოსვლები დღესაც ახსოვთ სპორტის მოყვარულებს. ეს გამოსვლები აღბეჭდილია რიგის კინოსტუდიის ფირებზე, აღწერილია წიგნებში. მაგრამ კრუმინშის სახელი მარტო ლატვიის კალათბურთის ისტორიის სახელოვან ფურცლებთან როდია დაკავშირებული. ახლა მისი ნახელავი თვალს ახარებს ახალ სახლებსა და კულტურის სასახლეებში, კლუბებში, ლატვიის სანაოსნო გემებზე, ყველგან, სადაც კი ინტერიერის გასაფორმებლად გამოყენებულია რიგის კომბინატ „მაკსლას" („ხელოვნება") ოსტატთა ჭედური ნამუშევრები.

— ოღონდ არ იფიქროთ, რომ ამ ნამუშევრებში ყველაფერი მე მეკუთვნის, — ამბობს იანისი. — უფრო სწორი იქნება ითქვას, რომ მათ შექმნაში მეც მაქვს მონაწილეობა მიღებული. მე შემსრულებელი ვარ, მხატვრების ჩანაფიქრსა და ნახატებს ლითონზე ვასხამ ხორცს. ჩემთვის ფანქარი მეტისმეტად ფაქიზი რამ არის. თავს გაცილებით უფრო მშვიდად ვგრძნობ, როცა ხელში ჩაქუჩი მიჭირავს.

იანისი არაფერს ამბობს იმაზე, რომ წარმატებით გაიარა მხატვარ-შემსრულებლის ატესტაცია. სამაგიეროდ, იგი სიამოვნებით გვიამბობს, რა კარგი მასწავლებლები ჰყავს. იანისი დიდ მადლობას უძღვნის თავის მწვრთნელს ალექსანდრე გომელსკის, რომელმაც სწორი გზა გამონახა სოფლელ ბიჭთან დასამეგობრებლად, შეძლო დიდი სპორტული მიღწევებისთვის საბრძოლველად განეწყო იგი. ახლა იანისის „სულიერი მამა" რიგელი მოქანდაკე ვლადიმერ რაპიკისაა. ჯერ კიდევ იმ წლებში, როცა კალათბურთს თამაშობდა, კრუმინში დურგლობით იყო გატაცებული. შინ მას თავისი ხელით გაკეთებული მშვენიერი, პატრონის სიმაღლის შესაბამისი ავეჯი უდგას. ერთხელ თავის მეუღლესთან (ისიც მოქანდაკეა) ერთად იანისი რაპიკისის სახელოსნოში იყო და დაინტერესდა მხატვრული ჭედურობის იარაღებით. მოქანდაკემ „ძალის მოსინჯვა" შესთავაზა. კრუმინში კი საერთოდ ყველაფერს სერიოზულად ეკიდება. და მან სახელოსნო მოაწყო. თავისუფალ დღეებში გვიან საღამომდე ამ სახელოსნოში რჩებოდა, სანამ ბავშვების — ივარსის, იურისისა და ირენას დაძინების დრო არ მოვიდოდა. მაშინ კი იანისს პატარებისთვის ახალი ზღაპარი უნდა ემბნა...

ერთი წლის შემდეგ მას უკვე შეეძლო ლითონზე გადაეტანა მხატვრის ჩანაფიქრი.

— ყოველ მასალას „თავისი სული" აქვს, — გვიზიარებს იანისი პროფესიულ საიდუმლოს, — ყველა მათგანს თავისებური მიდგომა სჭირდება. შედეგი მხოლოდ წლების მანძილზე გაწეულ გულმოდგინე მუშაობას მოაქვს. მე შრომა მიყვარს, იგი სიხარულს მგვრის. სასიამოვნოა, როცა ხედავ, რომ შენი ნაშრომი ადამიანებს სჭირდებათ.

ე. კეხრისი.
(საკდესის კორ.).
რიგა.

რედაქტორი მ. ჭაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ცენტრში

ველოსპორტი. ცენტრალური ველოტრეკი. სსრ კავშირის თასის გათამაშება და საერთაშორისო შეჯიბრება. 14 ოქტომბერი. წყვილთა რბოლები, გიტი 1000 მეტრზე, ქალთა სპრინტი. 15 ოქტომბერი. წყვილთა რბოლები, გიტი 1000 მეტრზე, გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლები, ტანდემებით რბოლები. დასაწყისი 10 ს. 30 წთ. და 15 ს. შეჯიბრების საზეიმო გახსნა 14 ოქტომბერს 17 ს.

## 17 ოქტომბერს

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კლუბში ჩატარდება თბილისის ფიზკულტურული აქტივის სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა თემაზე: „სპორტული წვრთნის თანამედროვე პრობლემები".

დასაწყისი 18 ს.

მსმენელთა დასწრება სავალდებულოა.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04754